

# ხალგაზრდა ვეროელი

სუთხაბათი  
28  
ივნისი  
№ 72 (11558)  
1990

1921 წელს

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

## ნოდარ ნათაქა: მოაკვალს ოპტიმიზმით შეხვედრის

გუშინ მუშაობა დაიწყო საქართველოს სახალხო ფრონტის მეორე ყრილობამ. ამ მოვლენას, რესპუბლიკის დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების საკითხებს ეძღვნება საქინფორმის კორესპონდენტების საუბარი

### ნოდარ ნათაქასთან.

— ყრილობა შეაჯამებს განვლილ წელიწადში სახალხო ფრონტის მუშაობის შედეგებს, — თქვა მან. — დღის წესრიგშია აგრეთვე სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობის არჩევნები და მის წესდებასა და პროგრამაში ცვლილებების შეტანა. ალბათ, სერიოზულ პოლიტიკის გამოიწვევს საკითხები, რომლებიც განხილული იქნება დღის წესრიგში სათაურით „სხვადასხვა“ აღნიშნულ პუნქტში. აქ ჩვენ ვგულისხმობთ რესპუბლიკის ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე მსჯელობას და მოქმედების ტაქტიკის შემუშავებას.

— კონკრეტულად რა პრობლემები გაქვთ მხედველობაში?  
— უწინარეს ყოვლისა ის პრობლემები, რომლებსაც წარმოშობენ ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ კონსერვატიული ძალების მიერ განხორციელებული ღონისძიებები, ჩვენთვის საიდუმლო არ არის, რომ მათი არსენალი დიდი და მრავალფეროვანია — იქნება ეს საკანონმდებლო აქტებით თუ კრიზისების პროვოცირება.

— საამისოდ საკმარისია მოვლენათა ლოგიკის გათვალისწინება. იმპერიული ძალები ეროვნულ კონფლიქტებს იყენებენ ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში ისინი არ ცდილობენ არამკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლებს ჩაუნერგონ აზრი ქართველების შხრივ მათზე არასასურველ ზემოქმედების შესახებ, რადგან ჩინებულად ესმით, რომ ასეთი რამ არ ჰდებია. მათ უფრო იმის იმედი აქვთ, რომ, თითქოს არაქართველი მოსახლეობა საქართველოს მომავლით ნაკლებად არის დაინტერესებული, პირიქით — ეს მოსახლეობა აიძულონ ამ მომავლის ქართველების წინააღმდეგ მიმართონ. მოქმედი კანონმდებლობით ყოველ არაქართულ სოფელს შეუძლია მოითხოვოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან გასვლა სსრ კავშირიდან საქართველოს გამოყოფის შემთხვევაში. ჩვენი პოზიცია მკაფიოა — დამოუკიდებელი საქართველოს ყოველ მოქალაქეს, რა ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, უნდა ჰქონდეს თანასწორი უფლებები.

ვალს ოპტიმიზმით შევცქერი და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ გამოვინახავთ სწორ გზას საბოლოო მიზნის მისაღწევად — საქართველოში შევქმნით დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოს განსაღი ძალების კონსოლიდაციის მეშვეობით.

— რას ეწყობა თქვენი ოპტიმიზმი?  
— ისტორიული განვითარების ლოგიკას. ცნობია, რომ დიქტატურის ეს სახე, რომელსაც დღესპოცია ეწოდება და რომლის დროსაც არსებობს მმართველი აპარატი, მაგრამ არ არსებობს ქმედითი საზოგადოებრივი ძალები, არასიცოცხლისუნარიანია. ხალხის ნება, ამ შემთხვევაში დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისაკენ სწრაფვა, ადრე თუ გვიან ხორცს შეისხამს. ამოცანა ის არის, რომ ეს გზა გვიართო და მიზანს მივალწყოთ შეძლებისდაგვარად უღანაჯაროდ.

— ახლა ბევრს ლაპარაკობენ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ახლანდელ ჩატარებულ რიგგარეშე სესიაზე. როგორ აფასებთ მის შედეგებს?  
— ჩემი აზრით, იგი მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის. დეპუტატებმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯით მიგვახლოვეს საერთო მიზანს. გადაწყვეტილებათა პაკეტში ყველაზე მნიშვნელოვანად მესახება კანონი ალტერნატიული სამსახურის შესახებ, ოღონდ აუცილებელია მისი კონკრეტული შესრულების მიღწევა.

— რა შეფასებას მისცემდით თქვენ თვითონ ყრილობის წინ საქართველოს სახალხო ფრონტის მუშაობას?  
— თუ გავითვალისწინებთ ურთულეს პირობებს, რომლებშიც გვიწევდა და გვიწევს მოქმედება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ მუშაობას ყრილობა შეაფასებს და ამიტომ ახლა კომენტარისაგან თავს შევიკავებ, მარტო იმას დავსძენ, რომ წარმატებით მოქმედებდნენ სახალხო ფრონტის მიერ შექმნილი კომისიები. ასეთი კომისია სულ თქვენსებრთა და ყოველი მათგანი კონკრეტული მიმართულებით მუშაობს. მომავალში ჩვენ მათგან კიდევ უფრო მეტს ველოთ.

დავი ბარკანიშვილი,  
პირის პაწაწი,  
საქინფორმის კორესპონდენტი.



„კავკასია —  
ჩვენი  
საერთო  
სახლი“

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მესამე დღეა გრძელდება ამიერკავკასიის ხალხთა კონფერენცია დევიზით „კავკასია — ჩვენი საერთო სახლი“. კავკასიის ყველა ხალხის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ თბილისში, რათა ერთმანეთს გააცნონ კავკასიის სხვადასხვა რეგიონში არსებული კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობა და დასახონ სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

## ერთადერთი გზა — კონსოლიდაცია

25 ივნისს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის გამზირზე, I საშუალო სკოლის ეზოში, უველო შიმშილობა დაიწყო თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მე-3 კურსის სტუდენტმა დათო მიხეილიძემ.

მოთხოვნა ასეთია — ეროვნულ-პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია...  
საქართველოში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის გამო მოგმართავთ თქვენ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს.  
ერი განსაცდელშია, იგი ვეღარ ხედავს კეშმარტ გზას თავისუფლებისაკენ.  
ერს სურს თავისუფლება, რომელიც ერთმანეთის ლანძღვა-გინებითა და სპეკულაციური იარაღების მიკერებით არ მოვა. დღეს ჩვენ ვცვაჯარო სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე, რომელიც დალუპავს ეროვნულ მოძრაობას. და კატასტროფამდე მიიყვანს ქართველ ერს. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მე, დათო მიხეილიძე არ ვეკუთვნი არც ერთ პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციას. იძულებული ვარ გამოვაცხადო უვადო შიმშილობა და მოვითხოვ:  
შეწყდეს შუღლი და აღდგეს ერთიანობა. და თუ ეს არ მოხდება, მ დღეში იძულებული ვიქნები გამოვაცხადო უწულო შიმშილობა სიკვდილამდე.  
ერთიანობა ხალხის ნებაა, ერთიანობაშია გზა ხსნისა, ნუ დაუენებთ თქვენს პიროვნებას კითხვის ნიშნის ქვეშ. მოუხმეთ გონიერებას.



დღერთი იყო თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი, გაუმარჯოს ერთიან ბრძოლას საქართველოს თავისუფლებისათვის.

1990 წელი, 25 ივნისი. ტექსტი გაეგზავნა ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერს. საკუთარი ინფორმაცია

საქ. სსრ კავშირის  
საბ. საბ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა











